



ბით ხმარებაში აღარ არიან, რომელთა ნაცვლად ახლა უცხო ენის სიტყვებსა ეხმარობთ; ერთის სიტყვით, ბევრი ისეთი მაგალითები წარმოგვიდგინა, რომელიც ქართულ ენის სხვა ენებისაგან დამოუკიდებლობასა და სიმდიდრეს ვეიმტკიცებდა.

მრთი ნაკლებიანება ამ ლექციისა მხოლოდ ის იყო, რომ ერთობ ლექსიკონური ხასიათი ჰქონდა. სულ სიტყვები და სიტყვები და იმათი მნიშვნელობის განმარტება. საზოგადო ლექციას ცოტა უფრო სიტყვით და სიმკვირცხლად უნდა ჰქონდეს.

შოველ შემთხვევაში ლექციამ დაგვარწმუნა, რომ ლექტორს შესანიშნავი ლექსიკონური ცოდნა ჰქონდა ქართულის ენისა.

საზოგადოებამ დიდს თანაგრძობით და ტანის-კერით გააცილა პატრუცემული ლექტორი—და ერთი უერთგულესი მოღვაწეთაგანი ჩვენის სამშობლო მწერლობისა ღირსიც არის ამ თანაგრძობისა...

\* \*

თითქმის მთელი უკანასკნელი წომერი მასწარა ვაზეთის „მუსლისა“ საგნა უკბილო და სულელურ ვითომ-მანვილობით „ღრობაზე“ და „საგ-კაზზე“, რომელზედაც პასუხის გაცემაც კი არა ღირს. თუ რამდენად დავკარგა ამ ჟურნალს დავთრები—შემდეგი სიტყვები გვიმტკიცებს რომელსაც, როგორც „მუსლი“ ბრძანებს, ის ამბობს „ჩვენ გასაჯავრებლად“:

„თუ ღმერთი გწამთ, ერთი გვითხარით, პატარებო, ანა რა აზრი უნდა ჰქონდეს „გუგუხის ტყაოსნიდან“ ამოღებულ წყაროს სურათებს? რას ეუბნება მათგანის გუგუხსა და გუგუს ამ სურათების შინაარსი? ღირდა განა ამთ დასადგმეად ფულის დახარჯვა!.. ნუ თუ ბ. ზინის ნიჭი სხვა უფრო... უგაგრა-ვად... საინტერესო შინაარსიანის სურათების დასადგმეად არ გამოადგებოდა?“

ამ სიტყვებით „მუსლს“ ჰგონია, რომ ჩვენ გაგაჯავრებს! მასაჯავრე-

ბელი კი არა, სამწუხარო და სასაცილოა, როდესაც კაცი ისეთს რამეზედ დაიწყებს ყბედობას, რომლისაც არა გაგებება—რა; ისეთს რამეს შეეხება თავის უმეცრებითა და მოკლე ტენით, რომლის გაგება არა აქვს და არც შეუძლიან. მასაჯავრებელი კი არ, სასამოგონაო, როდესაც თქვენი გარი და თქვენის დასის ხალხი, ბ. ბ. გუს-ლელებო, მოკლე ჰკუთის პატრონები არიან...

**წერილი რედაქტორთან.**

„ღრობის“ მე-№ 18-ის ფელტონში „ქართლის ზანაძისა“ იყო აღწერილი ბორის მანის „ბობოლა“ მებატონეების უთაურობა და დაუდევრობა საზოგადო საქმეში. სხვათა შორის, როგორც მებატონეს სოფ. შვიშხეთში, მეც მერგო ერთი ცილის-წამება სკოლების გახსნის შესახებ, რომელსაც ვითომ სკოლის ხსენება ჭირსავით მეჯავრება და სხვ. და სხვ.

პირველად საჭიროდ ვრაც ავწერო შვიშხეთის საზოგადოების მდგომარეობა და აზრი: მანამ მე მოვილოდი შვიშხეთში, იქაურ მებატონეებსა ხშირად ჰქონდათ გლეხებთან ლაპარაკი სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეების საგნებზე და განსაკუთრებით ბანკის და სკოლების თაობაზე. ჯერ ბანკის დაარსება ერჩიათ იმ აზრით, რომ ბანკის შემწევობით სკოლაც დაარსებულყო, და ამისათვის საზოგადოება სიამოვნებით დათანხმებულიყო და სხვა-და-სხვა გარი გადასახადი ეკისრნა. რადგან ერთად ფულის შეტანა გაუჭირდებოდათ, ამ გარად შეთანხმებულიყვნენ (ქვშხეთ-ლეხების ფულადი შემოსავალი განსაკუთრებით არის ტივის გამოტანა და გაყიდვა): პირობა მიეცათ მებატონეებისათვის, რომ რამდენიც ტივი გამოეტანათ, ტივზე ორი მანეთი, ბაჟი გარდა, შვიშხეთის ბანკის სასარგებლოდ უნდა შეეტანათ.

ამ გვარად ექვსი თუ შვიდი წელი-

სასწავლებლის დიპლომის მქონენი, რომელნიც სასწავლებლისთვის იქნებიან მოწვეულნი, ცოტად თუ ბევრად ქალაქის საქმეებსაც დაეხმარებიან და უმეტეს ყოვლისა,—რადგანაც ჩვენი შეილები ჩვენსავე თვალ-წინ გვეყოლებიან, მაშინ როდესაც ესლა ფულიც ბევრი მიგვდის ტივისში ზღაში და შეილებიც, მოშორებულნი არიან დედ-მამის ყურადღებას, ფუტლებიან და ხუთში ერთი ძლიერ გვისრულებს კურსსა,—ამისთვის, რაც უნდა დაგვემართოს, თუ ჩვენი ნახევარი ცხოვრება ამაზე წაგვივიდეს, უნდა ვეცადნეთ, რომ ეგ სასწავლებელი არავინ წაგვართვას.

— წყვეული იყოს ის კაცი, ვინც ამისთანა საქმეზე უკან დაიხევსო!

ბი უკანასკნელი სიტყვები მოქალაქეთა.

რაც შეეხება იმას, თუ სად უფრო კარგი იქნება სასწავლებლის გადატანა, თელავში თუ სიღნაღში, ამ აზრით მგონი ამ ქალაქების შედარება

წადი ყოველმა იქაურმა ტივის გამოტანმა იხადა თვითო ტივზე ორ-ორი მანეთი, ყველას ბათილამები ხელში უჭირავთ, ასე რომ სულ მკორე ისე დაცემული გლეხი არ არის, რომ ორი თუმანი მანც არა ჰქონდეს შეტანილი თანხის ბანკისთვის. შვიშხეთელს გლეხებს გაჭირებამ ბევრჯერ აფიქრებინა და მოაკითხვინა ეს ფულები: რა იქნა, სად დაიკარგა ამ ბანკის საქმე,—მაგრამ ვერავისაგან ვერავითარი კმაყოფილება ვერ ეღიროსათ. პეტროს რომ მოეკითხნა გლეხებისათვის, ესენი უფრო მართლად და დაწერილებით აუხსნიდნენ ჩემს მეცადინეობას სკოლის დაარსების შესახებ; ბევრჯერ შემიდგენია ყრილობა სოფლისა, ძრიელ გარკვევით ამიხსნია, ვამიადვილებია, სუყველას ჩვენის მხრით შემწევობით, სკოლის გახსნა; მაგრამ ესლა იმათგან ან ვერაფერს პასუხს ვერ მიიღებ ან თითო-ორიოლა გამოევა ხალხიდან და გეტყვის: „— ბატონო, როგორც ბანკი გაგვემართა და შემწევობა მოგვეცა ჩვენ უზედურებს, ისე სკოლა იქნებაო!“ და საქმე ისევე გაქრება ხოლმე. თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში ისინი თანახმდებიან და, იმედი, ერთმანეთის შემწევობით ამ მოკლე ხანში სკოლა გაემართოს.

პეტროსი უკუღმართად მოქცეულა: თუ ისე დაწერილებით შეუტყვივა გარემოება ჩემი, თუ როდის, სად და რას ვხარჯავ, ის როგორ არ შეუტყვივა—სად არის და ვისა აქვს ის საგლეხო, გლეხების ოფლით ნაშოვარი და ნაჭირნახულები ფულები? გლეხების საზოგადო საქმესა და ინტერესს რომ სურამისა და ხაშურის დუქნებში მოიკითხავს მწერალი, ხეიარი არა გამოევა—რა იმისი კალმიდანა. ის სტატია ავტორისაგან, უეჭველია, საზოგადო სარგებლობით არის დაწერილი, მაგრამ ავტორს ის ჰეშმარიტება კი დაიწყებია, რომ მწერალს მოეკითხება, საზოგადო ინტერესისა და სარგებლობის გარდა, კერძობი-

არც კი შეიძლება. თელავს უჭირავს მთელს საქართველოში პირველი ადგილი და წოდებულია ძველადვე რქვენიურ სამოთხედ“ და სიღნაღს უჭირავს მთელს საქართველოში სულ უკანასკნელი ადგილი და აბა რა შედარება შეიძლება მათ შორის! ამას გარდა თელავს აქვს ყოვლის ოთხის მხრით საკუთარი ტყე და მიწდებები, რომლისთანა სიღნაღელებს მგონი არც კი მოსჩვენებიათ. შიგ თელავში თითქმის ყოველს ქუჩაზე გამოდის წყაროები და ეს წყაროები ალაგ-ალაგ გროვდებიან და საწისქვილო წყლებად ჰხდებიან, მაშინ როდესაც სიღნაღში სულ ორი, თუ სამი წყარო მოიპოვება და ისინიც ისე დიდრონი, რომ ჩემ სამოვრის მიღს თუ შეედრებიან, თორემ არც ერთის თელავს წყაროსთანა შედარება არ შეიძლება.

მოქალაქეთ შორისაც დიდი განსხვავება ჰსუფევს: თელაველი სომეხი თუ ქართველი ისეთივე მემამულე და

თი პირის პატივისცემა, და არა ხელდურად ხსენება „ქართველი“ ვიზედაც რა ჭირი-სმენისა, და უგანო ფიქრი მოსვლია თავში. კაცი და ავი საქმე გასაკიცხვ მართალია; მაგრამ მწერალმა და ავი ერთმანეთში არ უნდა რიოს.

ლუარსაბ ვიფიანი.

**უსხოეთი**


(გაზეთიდან)

საზრანგითი. პარიჯის სისხლსასამართლოში გარჩეულა გასულთის 27-ს საქმე შილ ქლორინის რომელიც იმ ვანზახვით ჩასულა პარიჯში, რომ ზამბეტა მოეკლა. ქლორინი მთელი სამი დღე უდარაჯვრებულ მამბეტას ბურბონის სასახლამახლობლად, მაგრამ რადგან „ძველს სუქებულ რეგოლიუციონერთ“, ქლორინის სიტყვით, კარეტებში უყვარს სვირობა, ამის გამო ვერ შესრულთავის წადილი და ვერ შეხედა მამბეტას. რაკი დაკარგა იმედი, რომ ელიოსება მოკვლა იმისი, ვისაც რეჟუაზუაზის წინამძღომელად“ და „ხალხის შემავიწროებელად“, სთვლიდა გარდაწყვიტა—მოჰკლავს პირველ მხედრილ ბურჟუას საპატიო ლეგიონის ლენტი. ამ დროს მას შეხებდა ერთი ექიმი, ორჯერ ესტრევეოლვერს, მაგრამ ააცდენს. მას ეგონა მოეკალიო, მოიბრუნებს ვოლვერს და ხანაში დიცილტყვია კბილებში მოხედება, და მხოლოდ ორ კბილს ჩაიგდებინებს. ჟამად ეს ქლორინი სულ კარგად არისო.

სასამართლომ გაარჩია საქმე და მწლის კატორგა გარდუწყვიტა ქლორინის. ამ გარდაწყვეტილებაზე ქლორინმა შემდეგი სიტყვები ესროლ მსაჯულთ: „—თქვენ ყველა-ექსპლუატატორები (ხალხის მცარცველნი და თქვენივე სულის გამყიდველნი

მეურნეობის მიმდევარია, როგორც სოფელენი მამულენი, მაშინ როდესაც სიღნაღის მცხოვრებნი სულ სურათს წარმოადგენენ. ამას გარდა თელავიდან 7 ვერსზედ, ს. ძისისხევის წყალზედ, არი გამწვებული მშენიერი ბალი, ვენა და სახლები სახნავ-სათიბით. მისამ ფერმის აშენებისა იყო ის, რომ ერთ დროს აქ უნდოდათ გაემართნა სამეურნეო სასწავლებელი, მაგრამ აზრი ვერ განხორციელდა და მამბეტა თებლობამ ფერმა თავისის სახლებით იჯარით გასცა ვილაც ფრანკუზებზე რომელიც ყველა ამებში იხდის ზინის სასარგებლოდ ოც-და-ათს თუმანს. ბი ეს მამული, თუ კი საცხენოსის სასწავლებელი აქეთ გადმოევა, უეჭველად ამ სასწავლებელს გადაეცემა და წელიწადში არა ნაკლებ სამამ თუმნისას შემწევობას მისცემს.

მს წერილი აქ უნდა გვემთავებინა მაგრამ თვალ-წინ მიდგა ერთი ქლორინი და არას გზით არ მესხნებოდა



ხართ! ზაუმარჯოს სოციალურ რევო-ლიუციას!

ინგლისი. ინგლისის კოროლევა— მიქტორიაზე დიდი მოქმედება არ იქონია იმ უბედურმა შემთხვევამ, რომლის მსხვერპლად კინაღამ გახდა. შოველ დღეობით ისევ ისე გამოდის თურმე სასიეროდ ბაღში და ქალაქში, როგორც აქამდის და ყოველგვან ეხლა უფრო მომეტებული ალტაცებით ეგებება და აცილებს ხალხი.

მაკ-ლინისათვის ჩამოურთმევით ჩვენება. ის უარს არ ამბობს: ვეს-როლე მართალია, მაგრამ მიზნად არა მქონდა ან მომეკლა და ან დამეჭრა კოროლევა; მსურდაო მხოლოდ ყურადღება მიექციათ ჩემი უბედური მდგომარეობისათვის. ბევრი საბუთებია, იფიქროს კაცმა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მართლა ისე მოქმედებდა ის, როგორც სრულ ქუთს მოკლებული კაცი, მაგრამ ის მაინც საკმაოდ განათლებული კაციაო. მითონ ართმევს მაკ-ლინი ჩვენების იმ მოწმებს, რომელთაც რევოლუციის გასროლაზე უყურეს მას, რომ მან კოროლევას ეკიპაჟის ბორბლებს დაუმიზნა რევოლუციური და არა თითონ კოროლევას.

პარნელი, რომელიც ინგლისის მმართველობამ დაატუსაღა ამ რამდენიმე ხნის წინად, ირლანდიის საქმეებში მოთავეობის მიღებისათვის, ამ ქაშად მომეტებულს სასჯელს იხდისო, ბნელ ოთახში არის ჩასმული მმართველობის განკარგულებით. მიზეზი ამისა ის არისო, როგორც გავრცელებულია ხმა ლონდონში, რომ პარნელს მოესურვოს ვითომ სატუსაღოს მცველის მოყიდვა, მცველს გაუმჟღავნებია ეს მმართველობისათვის.

აშსტრია. ინგლისურ გაზეთ „Times“-ში იწერებინან სტამბოლიდან: „რადგანაც უკანასკნელ ხანებში დიდი მეგობრული განწყობა ჩამო-

ამისთვის ძალა-უნებურად უნდა ამაზებდაც ორიოდ სიტყვა ვსთქვა, გვების ამით მაინც მოვიშორო მისი ესეზიერი მოლანდება.

მა სურათი გახლავთ ბ. სამოქალაქო სასწავლებლის დირექტორის (როგორც აქ უწოდებენ) ძიკნაძისა. მა, ის ძიკნაძე გახლავთ, რომელზედაც აქაურნი ამბობენ, სტრელეცკის რომ კარგად მოსჩვენებოდა და მისგან რაიმე წყალობა მიეღო, უარაჰყო ქართული ენის ცოდნა. აი ამ ბატონზედ მინდა ვსთქვა რაზე, მაგრამ არც ბაღვაჯის და არც ტურგენიევის მიჭი მაქვს, რომ ჩავხედო მისს სულის კოლოფში და საჯაროდ გამოვიკი-ლო მისი სულის თარგები. მე მხოლოდ სქემას თუ წარმოვიდგენთ ამის არსებისას, თორემ ვინ ჩამახედებს მისი სულის კალათაში.

როდესაც თელავის დეპუტატებმა სთხოვეს სხვა-და-სხვა პირებს, რომ მოსულიყვნენ იმ კრებაში, რომელზედაც იქნებოდა სჯა საცხენისის

ვარდა აესტრიასა და პორტას (მსმალეთს) შუა, მსმალეთის მმართველობამ მოიხმო რამდენიმე სახელოვანი მაჰმადიანი ბოსნელები, სტამბოლში მცხოვრებნი და აუხსნა მათ, ურჩიონ თავიანთ თანამემამულეთს, სამშობლოში დარჩენილ ბოსნელებს, გადავიდნენ იქილამ და არ მიიღონ აჯანყებაში მონაწილეობა. ამანვედ ბოსნიელებმა მიუგეს, რომ ბოსნიის მაჰმადიანნი ერთობ უკმაყოფილო არიან აესტრიის მმართველობისა და ყოველი შუამავლობა ამ შემთხვევაში მსმალეთისა უქმად ჩაიარსო. უფრო ადვილი მოსალოდნელია, რომ მაჰმადიანი ბოსნელები მიეკვდებიან ქრისტიანეთს და იომებენ აესტრიის წინააღმდეგ.

აესტრიის სამხედრო განვითარებებით ამბობს, რომ, თუ ვინც ცობაა, ომი ასტყდა, მხოლოდ აესტრია და რუსეთი შეეცაკებიან ერთმანეთსო, რადგანაც ბერმანიას თანამად აესტრო-ბერმანიის პირობისა არ შეუძლია დენხმაროს თავის მოკავშირე აესტრიას, თუ რუსეთიც არ დაიხმარიებს ერთ-ერთ მეროპის სახელმწიფოთავანსა.

საცხენისში, სიღნაღს თუ თელავში?

„როების“ 32 №-ის მოწინავე სტატიის ავტორი, მოხსენებულის სათაურით, სჯის იმაზედ—თუ სად ამ აღნიშნულ ადგილთაგან საუმჯობესო იქნება გაიხსნას მომავალი რევოლუციის სასწავლებელი აგრონომიულის განყოფილებით და, ბოლოს, აძლევს დიდს უპირატესობას თელავსა.

ნებას ვითხოვთ ბ. მოხსენებულის სტატიის ავტორისაგან ვაღვიაროთ, რასაკვირველია, მხოლოდ კეთილისწადილით ამ ნაბრძანების სასწავლებლისადმი და მისის დანიშნულებისა და მიზნის ადვილად და უკეთესად მისაღწევად, რომ იგი თავისის შინაარსით წარმოადგენს მომეტებულ წილს უფრო მიდგომითს და წინად განძრავ-

სასწავლებლის თელავში გადმოტანაზედ, სხვათა შორის, ბ. ძიკნაძესაც, როგორც მათის შეილები აღმზღდეს და მეცნიერების ხუცესს, სთხოვეს კრებაზედ მობძანება, მაგრამ ბ. ძიკნაძემ მის ნაცვლად, რომ ეს აესტრელებინა, იმ სიტყვებით დაისტუმრა ისინი, რომლითაც ერთმა თქვენის ქალაქის ჩივიის წევრმა ბ. ზუბალოვს შეურაცყოფა მიაყენა... ამნაირივე მაგალითი ამ ერთის წლის წინეთ თელავის მეჩქმეებმა მოახდინეს. როდესაც დირექტორის მოწერილობით, თელავში უნდოდათ სახელოსნოსკოლის გახსნა, თელავის მეჩქმეებმა წარმოვიდგინეს, რომ თუ ეს სკოლა აქ გაიხსნა, ჩვენ მშვიდები დავიხსოვებითო. ამისთვის შექნეს ერთი აღიკვეთი და ღრიანცალი:—სად შევიდით იან ჩვენ რამე შეესწიროთ მაგ საქმესაო! ჩუმიად კი მას გაიძინენ.— „იქ უქმეელია, საპოქიკობასაც ასწავლიან და ჩვენ წაღას ვილა შეგვაკვირებსო!“

ხეთის მსჯელობას და ამასთან ადგილობრივ გარემოებათ უცოდნრობასაც.

აი, ბ. საბუთნი. რომ საცხენისი მღებარებს ძახეთის ერთს განაპირებულს ადგილას, როგორც ბრძანებს ამა სტატიის ავტორი, და შეკვტილია ერთს ღელეში, ეს ნამდვილი და ჭეშმარიტია და ამისთვის ნამდვილად და ჭეშმარიტად მოსალოდნელია ის ამისი მიუცილებელი შედეგიც, რომ იქ უარი სასწავლებელი იქნება ღია მხოლოდ რომელთამე ბედნიერ რჩეულთათვის და ძახეთის მცხოვრებთ მეურნეობაზედ კი ვერ იქონიებს ვერარა პრაქტიკულს გავლენას და ზედ-მოქმედებას. საცხენისისადმი უპირატესობის მიცემით უნდა ხელმძღვანელობდეს, ჩვენის ფიქრით, ძაგასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ. იანოესკი უფრო იმ მოსაზრებით, რომ იქაური ძველი ლაზარეთ-ყაზარმების კვლეების სასწავლებელად გადაკეთებას ეყოფა გადადებული ამისთვის ამისთვის 30000 მანეთი და ამ სახით ვითომ დატული იქნება ხაზინის ინტერესი.

მაგრამ ესეც კი ნამდვილი და ჭეშმარიტია, რომ თელავიც ამ დანიშნულებისათვის უსაფუძვლოთაა ცამდის აყვანილი. მართალია მღებარებით და სხალეთით თელავი სასიამოვნო, ტურფა ქალაქია; მაგრამ ესეც კი მართალი და ნამდვილია, რომ იგი, მიკრული ბომბორის მთის ძირზედ, არა თუ მთელის ძახეთისათვის, თვით თავის მახრისათვისაც კი არ წარმოადგენს საჭირო ცენტრალურს მღებარებას და საცხენისისაებრ ისიც განაპირებულია და სრულიად უხვედრი. დასამტკიცებლად ამისასაკმაოდ გრაცხთ მოვისხენიოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ თიონეთის, ბარეთ-ძახეთის და ძიხიყის სამღვდლონი, რომელნიც, გარდა ყოველ წლიურის სასულიერო მთავრობიდგან დაწყებულის საეკლესიო სუმმისა, თვითონაც ბევრს სხვა-და-სხვა შესაწირავებს აძლევენ

სწორედ ბ. ძიკნაძესაც ესევე მოსაზრება მოჰსვლია იმ სასწავლებელში ჩემზე კარგი მმართველიც იქნება და სწავლაცო და ამა მე ვილა შემომხედავსო, ან კიდევ იქნება ჩემი აქ სამსახურიც უსარგებლოდ გამოჩნდეს და ერთ მშვიდობიან დილას მომივიდეს მოწერილობაო, შეგიძლიან არხივში მიბძანდეთო!

ამისთვისაც ჯერ მაშინ აგეთი პასუხი მოახსენა თელაველთ დეპუტატებს და ეხლა, როდესაც თელავის ბაღში ჰქონდათ ყრილობა მოქალაქეთგან დაწყობილი თავად ახნაურების და მღვდლების წარმომადგენლებამდის და ყველა იმას იძახდა, რომ რაც უნდა დაგვიჯდეს ეს სასწავლებელი, როდესაც ირჩევენ დეპუტატის ისეთის პირებისაგან, რომლებიც ერთი თხოვნა საჭიროა, რომ ეს სასწავლებელი აქ დატრიალდეს, ბ. ძიკნაძე, უცბად, საიდგამაც გამოჩნდა და დაუწყა რევა ხალხს, რომ ეს სასწავლებელი რა თქენი გამოსადგეოა,

თელავის სასულიერო და თავიანთ საოლქო სასწავლებელსა შეიღებენ-ქო მინცა-და-მინც ამ მსხვერპლსა მისსა მთელისსა და ზრდიან თელიისსა და სხვა ადგილებში.

მგრეთვე ნამდვილს და ჭეშმარიტს ბრძანებს ბ. ავტორი, რომ სიღნაღი დაშენებულია მთის ქედებზედ; მაგრამ ისიც კი ნამდვილი ტყუილია, რომ ვითომც ეს ქედები იყვნენ ხრიაკი გორები მსგავსად მაგ. თელიისისა. წინააღმდეგ ამისა როგორც სიღნაღის გარშემო ქედები არიან მოცულნი ტყეებით, ვგრეთვე თვით სიღნაღშიაც იშვიათად თუ იპოვება სახლი, რომ ბაღა-ხეხილით არ იყოს დალაზათიანებული, და ამ სახით იგი წარმოუდგენს კაცსა ნამდვილს საზოგადო საცხოვრებელს ადგლი—დაჩასა.

სიღნაღში თელავზედ შენობებიც ბევრით ბევრია, მცხოვრებლებიც ხშირი და ვაჭრობაც ვაცილებით დიდი და მდიდარი. მაგრამ რომ ვითომც ამ ქალაქს აღარ ჰქონდეს გასამატი ადგილი შემდგენისათვის, ესეც კი ნამდვილი შემცდარი აზრია; ამას დაამტკიცებს ცხადად რიგანი თვალის დაკვირვება ადგილ მღებარებაზედ და მომეტებული ლაპარაკი ამანვედ უნდა უადგილო იყოს.

თუ იმას ვიტყვი, რომ სიღნაღსა და იმის გარშემო ბევრი მაღალ-დაბალია, ეს-კი ახირებული იქნება;—მთელი ჩვენი სამშობლო საზოგადოდ ამ გვარს მღებარებას წარმოვიდგენს და ნუ თუ იგი ამისთვის საზიზარო და დასაწუნია?... მაშ მთელს ვეროპაში სახელ განთქმული შევიცარიაც ხომ ამ მიზეზით გროზად აღარ ეღირება?...

მაგრამ ყველა ეს უბრალოა; უპირატესობა უნდა ეძლეოდეს სიღნაღსა, ჩვენის ფიქრით, აი რა საფუძვლით:

მითქმის მრთელის ძიხიყის მჭიდროდ და საზღვრების განურჩევლად დაშენებული სოფლები სულ გარს

თქვენ როგორ და ან საილამ შეგიძლიანთ, რომ მაგ სასწავლებელს რაიმე შემწეობა მისცეთო! მართი სიტყვით, დაიწყა ისეთი როშვა, რომ მოქალაქეთ და სხვებმაც გამოსთქვეს ეს აზრი—„უმჯობესია ვგ სასწავლებელი სულ არ იყოს, ეინემ მაგის ხელში ჩვენი შეილები მახინჯდებოდნენო“.

ამისთვისაც დააპირეს და კიდევ მგონი ასრულებას უპირებენ, რომ მთავრობას სთხოვონ: მოსპოს ეს სასწავლებელი და ამის ბაღლად გახსნას აქ ერთი კარგი სასწავლებელი—როგორსაც ახლად შედგენილი პროექტი საცხენისის რევოლუციის სკოლისა წარმოადგენს. მგონი მმართველობამ უარი არ უთხრას თელაველ მოქალაქეთ და კეთილ-შობილთ ამ გვარს თხოვნაზედ და მაშინ არ ვიცი რილას კარვას შეუდგება ბ. ძიკნაძე...

მაყურებელი.

ახვევიან სიღნაღსა და ბევრნი იმათ-  
გან ისე უერთდებიან. რომ გარდა  
ყველა სიმარჯვისა და მოხერხებულე-  
ბათა, მომავალი რეალურის სასწავ-  
ლებლის ღირებ მოწაფეთ ძრიელ აღ-  
ვილად შეექმნებიან იფეს ადგილ-  
სადგურადაცა, როგორც მაგ. ამ ქა-  
მად სამოქალაქო სასწავლებლის მო-  
წაფეთ, და ამის გამო თვით სასწავ-  
ლებელსაც ექმნება, რასაკვირველია,  
დიდი პრაქტიკული გავლენა და ზედ-  
მოქმედება მცხოვრებლებზედ. მეო-  
რეს მხრით, ამ გვარი ცენტრალური  
მდებარეობა სიღნაღისა მიზიყში ერთ-  
სა და იმავე დროს ესრეთსავე ცენტ-  
რალურს მდებარეობას წარმოადგენს—  
თელავის მაზრისა და ბარეთა-ძახეთი-  
სათვის ივრის-ხეობამდის, ლავიანისა  
და ზაქათალის მაზრისათვის, მლდრი-  
სა და შირაქის მაზრისათვის და დე-  
ლოფლის-წყაროს მცხოვრებთა, და  
მასალამდე ცხადად და ადვილად წარ-  
მოსადგენია—თუ რამდენად უმეტესად  
სასარგებლო იქნება ამ გვარს ადგილს  
გახსნილი საშუალო სასწავლებელი,  
და წინააღმდეგ ამისა რამდენად მცი-  
რედ სასარგებლო, ანუ უკეთ ესტკვათ,  
უსარგებლო—რომელსამე განაპირე-  
ბულს და უხვედრს კუნჭულში სადმე  
შეეკეთილი...

პრც იმასა ბრძანებს ნამდვილსა  
მოხსენებულის სტატიის ავტორი, რომ  
სიღნაღს არ მოეპოვებოდეს სახელოს-  
ნოებისა და სხვა-და-სხვა საჭიროები-  
სათვის სამყოფი ადგილი. სიღნაღს  
თავის სამოქალაქო საზღვარს შიგნით  
აქვს საკმაო ცარიელი ადგილები ამ  
გვარის საჭიროებისათვის და გარშე-  
მოც ახვევია სულ სახელმწიფო მა-  
მულეები. თვით ქიზიყელნი მოსახლო-  
ბენ სახელმწიფო ადგილებზედ და  
სახნავ-სათესისათვის, სათიბ-საძოვრი-  
სათვის და ბაღ-ბოსტნეულისათვის  
აქვსთ სათემო მამულეები, და არა  
თელაველთაებრ საბატონო და დანა-  
წილებულეები, და ამასთან ერთი-ორ-  
მოცად იმათზედ მომატებული, სადაც,  
სურვილისაებრ მოხსენებულისა სასწავ-  
ლებლის მთავრობისა, აირჩევა უხვად  
და შემოიფარგლება დაუბრკოლებ-  
ლივ ყოველ-გვარის საჭიროებისათვის  
სამყოფი და ფრიად სასარგებლო ად-  
გილ-მამულეები.

რომ სიღნაღელნი ანგარიშანი  
ხალხნი არიან და კუჭისათვის ზრუნ-  
ვასა და ჯიბის ყადრიც კარგად იციან  
და ამისთვის იქმნება ფიქრობდნენ და  
ცდილობდნენ, რომ სასიამოვნოს შეა-  
ერთონ სასარგებლოც, რომ იქმნება  
ამ განზრახვით იმეტებდნენ უხვს შე-  
საწირავს ნათქვამის სასწავლებლისა-  
თვის,—ეს შეიძლება საექვეო არ იყოს;  
მაგრამ განა ამ ჩვენს მატერიალურს  
დროში თელაველეები-კი გადაყრეღე-  
ბით ემსგავსებიან ძველის დროის სპარ-  
ტანელთა?! შეეკობთ დიდად... რა  
თქმა უნდა, რომ ყოველი სული  
სთვის მომკის იმედით მომავალში...

შემცდარი ბრძანდება ეგრეთვე ბ.

ავტორი იმაშია, რომ ვითომც სიღ-  
ნაღელ სომხებს მხოლოდ ვაჭრობა  
და ხელოვნობა ჰქონდეთ საქმეთა და  
მეურნეობისა-კი არა იცოდნენ—რა  
სრულეობით. მტყობათ არ გაუგიათ—  
თუ ვინ და რანი არიან სიღნაღში:  
შავერდოვები, ამირხანოვები, ს-ფ-  
როვები, შულიჯანოვები, შაბუროვე-  
ბი, ნუბაროვები, ტერ-მათეუზოვები,  
ლისინოვები და სხვ. ნეტარ-კი ასში  
ერთს ჩვენს მებატონეთაგან მოცდე-  
ბოდეს ძახეთში ამათებრ ტურფად და  
კვლუცად შემუშავებული დედულ-  
მამული და ამასთან უვალთა!

ჩვენი გულ-წრფელი სურვილი  
მდგომარეობს ამ შემთხვევაში მხო-  
ლოდ იმაში, რომ ამ დიდის და სა-  
ბედნიერო მომავალის მქონე ჩვენის  
აღმოსავლეთ მხარე სამშობლოსათვის  
რეალურს სასწავლებლისათვის ჯერ  
კარგად გამოიკვირონ და მერე მიუდ-  
გომლად დაენიშნოს ჯეროვანი ადგი-  
ლი, რომ იგი მსახურებდეს არა კერ-  
ძო პირთ სარგებლობას, არამედ სა-  
ზოგადოებრივს დანიშნულებას და მი-  
ზანსა, რომ ეს სასწავლებელი იყოს  
არა კარ-დანშული, არამედ კარ-ლია  
საზოგადოდ ყველა ჩვენ ნიჭიერ თა-  
ნამემამულეთათვის, და ამისთვის უმ-  
დაბლესად ესთხოვთ „დროების“ რე-  
დაქციას ინებოს და მისცეს ამ ჩვენს  
შენიშვნასაცა ამ სავანზედ თავის გაზეთ-  
ში მცირედი ადგილი. სიღნაღელი.

**ბანსხალეზანი**

ისყიდება ორი ცხენი ახალ-თეკე,  
ჯინშისა „შარა-ბაირი“, ერთი ფშატი  
და მეორე ულაყი. ცხენების ნახვა და  
ფასის შეტყობა შეიძლება სადოვის  
ქუჩაზე, ზრიგოლ მელიქოვის სახლში,  
№ 43. (5—3)

**იურიდიული კაბინეტი**

იურიდიული ბიბლიოტეკით  
ღარსდა მოლოვინის პროსპექტზეს  
არხიტექტორის ბელოვის სახლში  
ტელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9  
საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდის  
და 7-დამ საღამოს 10 საათამდის.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა  
გამოცხადებულია და ცალკე დარიგ-  
დება. (30—3)

ღიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარ-  
კვიანის ქართული წიგნის მაღაზია-  
ში

**გაგულის**

საერთო მფლობელობაზე

თსუელეზა

ანტონ შურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჰიჭინაძისაგან.

შასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

**საამო ბანსხალეზა.**

მისაც სურს ნამდვილი კახური ბუ-  
ნებითი, არომატიული ღვინოებით  
დაატკოს თვისი გემოვნება, ინებოს  
და მიირთვას ღვინოები „ალაზნის“  
სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ,  
დეკანოზის ობრბელის სახლებში №  
14, თავ. ირაკლი ბრუზინსკის სახ-  
ლის პირ-და-პირ. (6—2)

**ინკლისის მაღაზიაში**



ამგვრებს თმას და ადრინდელ ფერს  
ამდგებს, ფასი ერთი შუშისა 2 მან.,  
გაგზავნი 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის შამადა თქების  
გასამაგვრებლად. ფასი 1 მან. სხოტები  
თავის ტვინის მოსასპობლად, ტუ-  
ფეტის საშინი, ღუხები და სხვ  
(100—96)

ლონდონის მაღაზია გამოერტიუ ჭ-  
ბანკის ქვეშ დაასრულებია ნამდვილი ჩაის  
გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და  
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-  
გალითებრ: თოფებისა, რეკლეკებისა,  
კლიტებისა, ჭურჭლებისა, გრაგატებისა,  
დანებისა, კოვჭებისა, ჩანჩუბებისა, შო-  
კოლადისა, გაგაოსი, ღუხებისა, საშინი-  
სა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-  
დადისა, კანდაშებისა, კალმებისა, უნა-  
გრებისა, სუგრისისა (გემიელი კლეშნი-  
კინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-  
კინტაშის მოსასრუფებს გასასყიდლად  
კანფეტების და ბატუქის და კაპშ. მუ-  
რასისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდე-  
ბისა ნოტინგჰამიდან. ნამდვილი ჭაგანს  
სიგარები. (100—80)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მი-  
ღებულნი დიდ ძალი ჩაი პირველი  
მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე  
სხვაგან. იქვე იყიდება: ზარესისა 40  
კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები  
10 კაპ—დამ; პანდოსები 5 კ.—დამ,  
მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად  
და სხვ. (100—70)

ღიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება  
თფილისის წიგნის მაღაზიაში

**იზავ-არაკანი**

პრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდ-  
გან გალექილი თ. რ. ერისთვისა.

**ბოსტნეულების და ყვავილების**

**თხსლები**

მავნებისაგან, ისყიდება თეოდორ  
ფუნკის მაღაზიაში, სოლოლაკის ქუჩ.,  
მირზოვეის სახ., № 6, თფილისში.  
ატალოგი და პრის-კურანტი უფა-  
სოდ იგზავნება. (3—3)

**ისყიდება**

25% ნაკლებ...  
ჩაი, გაგაო, შეკოლადი, ბისკეტი,  
ჩაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნე-  
ბაგლები, თეფშები, ჩანჩუბები, სუფ-  
ბი, ფოდნოსები, შირის-სახანი, კლე-  
კები, სამურეკი, ტანისამოსის საყ-  
კოვები, დანები, კალმები, ქადა-  
განვერტები, რეკლეკები, კანდაშ-  
თოფები, რეკლეკები, გრაგები, ზა-  
ჩები, ვანები, ქამრები, საყუდურები, გ-  
ონკა, უნაგირები, ღაგები, უთო-  
ტასტები, შირისსახოცი, ცხვირის-სახო-  
ხლები, ტუაეტის საშინი, ღუხ-  
შახათი, ტიტმატმაგნეზია, ქინის  
ნო, პორტ-ვინი, სერესი, გონიყი  
ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის  
ლაზიაში. იქვე ჩაი გაგზავნათვის ნა-  
დათ: ფუთობით 40, 46, 52 და  
მან. და გრვანქობით: 1 მ., 1 მ.  
კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ.  
კ., 1 მ. 80., და უზირეკი ხარისხის  
2 მ.—წონა უქდადდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბო-  
(choke bore) George Dau-ს ფა-  
გიდამ—120 მან. რეკლეკები 4—  
მან. და ბუდდოვისა 11—20 მ. ქა-  
უნაგირები 65 მან-დამ; შეჭიდის  
ნები ხანჯლებით 3 მან. 50 კაპ-  
დუჟი, ალბომები ნახევარ ფასად, ფი-  
ტრები და სხვ.  
უკვლავად უმრავლესი ამოჩვენა თო-  
ბისა და რეკლეკებისა თფილისში.  
(100—89)

ბრიტურის წიგნის მაღაზიაში (ბ-  
ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იონან-  
სიანთან (ოკრუფის სულის ქვემო-  
ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ-  
გამოცემა:

წითელი ფაჩანი, ფასი 15 კ.  
ხატურა — — — 10 კ.

**ბამსია**

აკვებავ ხორაგეულებათა, რომელნი  
იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუ-  
ნებში და დატარებთ 1 მარტიდან  
1 აზნელამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის თქვილი  
პირველის ხარისხის—1 გირ. 5 1/2  
მეორის „ —1 გირ. 3 1/2  
მესამის „ —1 გირ. —

იმავე თქვილ. თორნეში ბამომცხვარი  
პირველის ხარისხის—1 გირ. 6 1/2  
მეორის „ —1 გირ. 4 1/2

ჯვარის-მამის პური:  
პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 1/2  
მეორის „ „ —1 გირ. 5 1/2  
მესამის „ „ —1 გირ. 4 1/2

ძროხის ხორცი:  
პირველის ხარისხის —1 გირ. 11 1/2  
მეორის „ —1 გირ. 9 1/2  
სუკი — — —1 გირ. 16 1/2  
ცხვრის ხორცი — 1 გირ. 13 1/2

ლორის ხორცი:  
პირველი ხარისხის —1 გირ. —  
მეორის „ —1 გირ. —